



**სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების
სასამართლო პროცესების მონიტორინგი**

შუალედური ანგარიში

2020



ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გიორგი ტყეშელაშვილი
რედაქტორები: ალექსანდრე მამუკაშვილი
გიორგი კაკუბავა



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
I. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები.....	6
შერჩევითი სამართალი და სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივები.....	12
უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება	13
გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება	14
მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება.....	14
II. დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომები	16
საკანონმდებლო მიმოხილვა	16
დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები	17
სხდომებზე დაშვებასთან დაკავშირებული პრობლემები.....	18
ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა	19
მონშეთა დაკითხვის პრობლემა	19
დასკვნა	20

შესავალი

წინამდებარე შუალედური ანგარიში ასახავს 2020 წლის 1 თებერვლიდან 15 აგვისტომდე სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგს ახორციელებს პროექტით - „საზოგადოებრივი მოვლენების მონიტორინგი“, რომელიც აშშ-ის ფონდის - „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით, 1 თებერვლიდან დაიწყო და 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.

მონიტორინგის დაწყებიდან, შუალედურ საანგარიშო პერიოდამდე - 12 აგვისტომდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის დააკვირდნენ 80 სასამართლო სხდომას 20 საქმეზე. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოქვეყნდა 4 ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია როგორც უშუალოდ სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები, ისე სისხლის სამართლის საქმეების შესწავლისას გამოკვეთილი საკითხები¹. 20 საქმიდან, 3 საქმეზე განაჩენი გამოტანილია, 14 სისხლის სამართლის საქმე რჩება პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად, ხოლო 3 საქმე გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2012 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, სავარაუდოდ დანაშაულებრივი ქმედებების საფუძველზე, დაიწყო სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება სხვადასხვა რანგის სამთავრობო მოხელეების წინააღმდეგ. ამ საქმეების მიმართ იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდნენ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები. მათ შორის აღსანიშნავია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველო ამ საქმეების გამჭვირვალედ, კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების დაცვით წარმართვის გამოწვევის წინაშე დადგა². სასამართლო პროცესებს, ასევე, აკვირდებოდნენ და აფასებდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები³. მათ შორის 2013 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე⁴, სადაც ასახულია ერთწლიანი მონიტორინგის შედეგები⁵.

წინა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების მიმართ დამკვირვებელი ორგანიზაციების ინტერესი კვლავ გაიზარდა ბოლო წლებში⁶, როცა პროკურატურამ განაახლა შეჩერებული თუ შეფერხებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და ზოგიერთი საქმე გადასცა სასამართლოს განსახილველად. გარდა ამისა, გამოძიება დაიწყო 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის ფართომასშტაბიანი

¹ იხ. 1) „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/33SqhZx>. 2) „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUJHFh>. 3) „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/31NEpka>. 4) „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2CkSOfd>.

² იხ. სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში, OSCE/ODIHR. ვარშავა, 09.12.2014 წ.

³ მაგალითისთვის, იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ - გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში. 2013 წ.: <https://transparency.ge/ge/content/stub-683>; ასევე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ანგარიში. პერიოდი: ივლისი-დეკემბერი, 2013.: <https://bit.ly/2Yu919Q>

⁴ ანგარიში სრული სახით იხ. ბმულზე:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20saboolo2.pdf>

⁵ მონიტორინგის პროექტის ფინანსური მხარდაჭერი იყო აშშ-ის ფონდი - „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED).

⁶ იხ. ინფორმაცია - Fidh-ის წარმომადგენლები ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესს დააკვირდებიან: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20081&lang=geo>

საპროტესტო აქციების მონაწილე აქტივისტების თუ პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ. საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დაკვირვების ობიექტია, ასევე, ბოლო წლების სამოგადოებრივი პროტესტი, რაც სხვადასხვა საკითხს უკავშირდება და სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით მიმდინარეობს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში პოლიტიკური ლიდერების მიცემა, რიგ შემთხვევებში, ბადაბს არცთუ უსაფუძვლო ეჭვებს პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ, როგორც ქართულ სამოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში, ისე საერთაშორისო პარტნიორებში. პოლიტიკური მოტივაციის არსებობის შემთხვევებში, არასამართლიანი სამართალწარმოების აღბათობა გაცილებით დიდია, რითაც შესაძლოა, უხეშად დაირღვეს როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები⁷.

მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - ხელისუფლების სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 3 სასამართლო მონიტორი, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ტრენინგი გაიარეს. სანწყის ეტაპზე შემუშავდა კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. სასამართლო მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ აფიქსირებენ მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც აჯამებს და ანალიტიკური დოკუმენტებისთვის, ასევე - ანგარიშებისთვის იყენებს ანალიტიკოსი იურისტი. თითოეულ გამოქვეყნებულ დოკუმენტში გაანალიზებულია, რამდენად შეესაბამება პროცედურები და სამართალწარმოება საერთაშორისო სტანდარტებს, აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს. ამასთან, სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას.

ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და სამოგადოებისთვის.

⁷ იხ. ანგარიში - „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ. :<https://bit.ly/33SqhZx>.

I. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

საანგარიშო დროისათვის ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 20 საქმე, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში დასრულებულია.

1. გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. „თბილისის განვითარების ფონდის საქმე“). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილი მერი, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი უგულავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გაფლანგვას. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის ამ განაჩენით, გიორგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი საპატიმროდან 2020 წლის 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა.

2. გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას საქმე. ქალაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება). ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც ედავება.

3. გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. „აეროპორტის საქმე“). პროკურატურის 2019 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით, გიორგი უგულავას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების ვერსიით, გიორგი უგულავამ ბ.გ.-ს მიაყენა ფიზიკური დაზიანება. დაცვის მხარე კი აცხადებს, რომ ბ.გ. პირიქით - პროვოკაციულად თავს დაესხა „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს - გიორგი უგულავას და გიორგი გაბაშვილს. საქმე მოსამართლეს არსებითად განსახილველად აქვს გადაცემული, მაგრამ განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, 2020 წლის 7 მაისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება⁸.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ე. წ. თბილისის განვითარების ფონდის საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვისას იდენტიფიცირებულია არაერთი დარღვევა, კერძოდ:

- დაირღვა საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა;
- საქმის განმხილველმა ერთ-ერთმა მოსამართლემ - შალვა თადუმაძემ საქმე არ აიცილა, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, რადგან მანამდე სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარი ბრალმდებელი (გენერალური პროკურორი) იყო;

⁸ იხ. „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. გვ. 31. <https://bit.ly/33SghZx>.

- საკასაციო სასამართლომ 13 დღეში შეისწავლა მრავალტომიანი საქმე და გამოიტანა განაჩენი;
- საკასაციო სასამართლომ საქმეზე გეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, როცა მასზე განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა სავარაუდო პოლიტიკური მოტივების გამო;
- ე.წ. აეროპორტის ინციდენტის საქმეზე, გიორგი უგულავას, ნაცვლად მის მიმართ განხორციელებული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისა, ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; 5. არსებობს შერჩევითი სამართლის სხვა ნიშნები.

4. ნიკანორ მელიას საქმე - პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, ნიკანორ მელიას ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის I და II ნაწილებით, რაც ითვალისწინებს ჭგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. სისხლის სამართლის საქმე 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციას უკავშირდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი⁹. ანალიტიკურ დოკუმენტში იდენტიფიცირებულია მნიშვნელოვანი დარღვევები:

- ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის მოთხოვნაც შაბლონური იყო და მასში საკმარისად არ იყო დასაბუთებული, რატომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა - წინასწარი პატიმრობა.
- დასაბუთება არ ახლავს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე, ხოლო შემდგომ - თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების გადამდე შეწყვეტის შესახებ.
- გენერალური პროკურატურის მიერ არგუმენტების გასამყარებლად მოყვანილი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) რამდენიმე საქმე, რომელთა უმრავლესობა არათუ ფაქტობრივი გარემოებებით, არამედ ზოგადი დასაბუთების სტანდარტითაც კი არ მიესადაგება ნიკანორ მელიას საქმეს;
- თბილისის საქალაქო სასამართლომ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვისას, არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნული არაერთი დასაბუთებული შეფასება; შედეგად, არათანაზომიერად შეიზღუდა ნიკანორ მელიას, როგორც პარლამენტის წევრის უფლებები.
- თბილისის საქალაქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ, საქმის განხილვისას, ერთიან კონტექსტში არ განიხილა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, საერთოდ არ მიიღო მხედველობაში პარლამენტის წევრის იმუნიტეტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები.

5. ნიკანორ მელიასა და ზურაბ ადვიშვილის საქმე. ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ნიკანორ მელიას, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადვიშვილთან ერთად, ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. აღსანიშნავია,

⁹ იხ. „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFh>.

რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ნიკანორ მელია გამართლდა სსკ-ის 2051-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რაც გულისხმობს ქონების დამალვას მოჩვენებით, ან თვალთმაქცური გარიგებით.

6. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე ოქრუაშვილმა, ისევე როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 15 მაისს დატოვა. შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც საქმის განხილვა 2020 წლის სექტემბერში დაიწყო.

7. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე (ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმე). ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა აქვს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის პატრულმა-ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლითა და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგოლ ბაშელეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილღის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც დავალება მისცა შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მალაჩინოსნებს, „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, 2020 წლის 8 ივლისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება¹⁰.

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეში იდენტიფიცირებულია შემდეგი დარღვევები:

- ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით, როგორც გაფრთხილების ნიშანი, დააკავეს მისი პირადი მძღოლი და ოჯახის ახლობელი, კობა კოშაძე;
- პრობლემურია სასამართლოს მიერ ტერმინ „ძალადობის“ განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მიზნებისათვის;
- სასამართლოსეული ნორმის განმარტება, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მხრიდან მისი, როგორც პოლიტიკური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას აჩენს, რისი მაგალითიც ირაკლი ოქრუაშვილის საქმეა;
- საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი ასობით დემონსტრანტიდან, საქართველოს პროკურატურამ დისკრიმინაციულად მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი შეარჩია იმ პირად, ვის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო;

¹⁰ იხ. „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/31NEpka>.

- სერიოზული კითხვის ქვეშ დგას გამამტყუნებელ განაჩენში გამოყენებული მტკიცებულებების შინაარსი და მათ საფუძველზე დანაშაულის დასამტკიცებლად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი;

- გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო მხოლოდ 4 პოლიციელის ჩვენება და ა.შ.

რაც შეეხება ე.წ. ბუტა (ამირან) რობაქიძის საქმეს:

- სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდამულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ოქრუაშვილს ახალი ბრალი წარედგინა და მას, როგორც 9-თვიან წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, სასამართლომ ახალი-9 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, რომლის ვადის ათვლა, 20-21 ივნისის საქმეზე გამოყენებული წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადისგან დამოუკიდებლად დაიწყო;

- სახელმწიფო ბრალდებამ, ბრალის წარსადგენად სისხლის სამართლის კოდექსის ის რედაქცია გამოიყენა, რომელიც 2004 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, ყველაზე მეტად აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას.

8. კობა კოშაძის საქმე. პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენას, შენახვას ან ტარებას. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა და ბრალდებულს შეუფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება¹¹.

9. გიორგი რურუას საქმე. ტვ „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მენილეს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტექსტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება); მას ასევე ბრალი წარედგინა აქვს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგინიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ გიორგი რურუა დამნაშავედ ცნო ორივე წარდგენილ ბრალდებაში. საქართველოს პრეზიდენტი მსჯავრდებულის შეწყალებაზე უარს აცხადებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს დაცვის მხარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, 2020 წლის 27 ივლისს, განაჩენის გამოტანამდე რამდენიმე დღით ადრე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი

¹¹ იხ. „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/31NEpka>.

რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი¹². ორგანიზაციის მიერ საქმეში იდენტიფიცირებულია შემდეგი პრობლემური საკითხები:

- ბრალდებულს დაკავებისას არ მიეცა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა;
- დაკავებულისთვის უფლება-მოვალეობები არ განუმარტავთ;
- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა გიორგი რურუას როგორც პირადი, ისე ავტომანქანის ჩხრეკაც;
- პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები;
- საქმეში არსებული საპროცესო დარღვევები, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, ეჭვქვეშ აყენებს გიორგი რურუას ცეცხლსასროლ იარაღთან შემხებლობასა და მტკიცებულების ავთენტურობას;
- გამომძიებელმა არაერთი საგამომძიებო მოქმედება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე ჩაატარა¹³.

10. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე. თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაცია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერები) ბრალი ედებათ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV პირველის მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარებას (25-194 მუხლის მე-2 ნაწ-ის „ა“ და მე-3 ნაწ-ის „გ“ ქვ/პ). სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა.

11. ნიკა გვარამიას საქმე. „მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი ედება სსკ-ის 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

12. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე. საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 182-ე მუხლის „ბ“ ბუნქტით, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი) ჯგუფურად გაფლანგვას. სისხლის სამართლის საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი.

13. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადგიშვილს, დავით კვბერაშვილსა და გიგი უგულავას საქმე. ექსპრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში ასევე განიხილება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება 2007 წ. 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და მის

¹² იხ. „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2CkSOfd>.

¹³ იხ. „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. გვ. 20-21. <https://bit.ly/2CkSOfd>.

„ხელში ჩაგდებას“. მიხეილ სააკაშვილის გარდა, ბრალი წარდგენილი აქვთ იმ პერიოდის მალაჩინოსნებს: ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადვიშვილს, დავით კვბერაშვილსა და გიგი უგულავას. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. სხდომას თავმჯდომარეობს მოსამართლე ნინო ელვიშვილი.

14. ლაშა ჩხარტიშვილის საქმე. 2020 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და მას ჯარიმის სახით დააკისრა 3500 ლარის გადახდა. მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ გადაწყვეტილება 3 სასამართლო სხდომაში მიიღო. ჩხარტიშვილმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

15. ბესიკ თამლიანის, ზურაბ ბუდალაშვილის, ცოტნე სოსელიას და კახაბერ კუპრეიშვილის საქმე. ბესიკ თამლიანს, ზურაბ ბუდალაშვილსა და ცოტნე სოსელიას ბრალი წარდგენილი აქვთ საქართველოს სსკ-ს 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. მოცემულ საქმეზე პროკურატურასა და ბრალდებულებს - ზურაბ ბუდალაშვილს, ცოტნე სოსელიასა და კახაბერ კუპრეიშვილს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება. 2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამლიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე შეიცვალა 4000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ. მან დატოვა სასჯელადსრულების დაწესებულება. სისხლის სამართლის საქმის განხილვა, ბესიკ თამლიანის მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ გრძელდება.

16. ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნაკრესის“ თანამშრომელს, ბეჟან ლორთქიფანიძეს ბრალი წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. ბეჟან ლორთქიფანიძე ბრალს არ აღიარებს. ბრალდება უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. საველე ბიოლოგი და ველური ბუნების მკვლევარი ბეჟან ლორთქიფანიძე 2019 წლის 20 ივნისს დააკავეს და მას შეფარდებული ჰქონდა 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა. ამ დროისთვის ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო აქვს შეფარდებული. სასამართლო პროცესი არ დასრულებულა.

17-18-19. ყოფილი სპეცრაზმელების საქმეები. ლევან იმერლიშვილს, გიორგი ესიაშვილს და მინდია ამბარდნიშვილს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს - „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით“. ყოფილი სპეცრაზმელების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში ცალ-ცალკე სხვადასხვა მოსამართლე განიხილავს.

20. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები ასევე აკვირდებოდნენ გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმეს. გიორგი ჯავახიშვილი და თორნიკე დათაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. მოცემული საქმე განიხილებოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ ირაკლი ოქრუაშვილის საქმესთან ერთად, მაგრამ

ჯავახიშვილისა და დათაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმობად გამოიყო და ისინი მალევე გათავისუფლდნენ მას შემდეგ, რაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

ადამიანის უფლებათა ცენტრს, მონიტორინგის მიმდინარეობისას მიღებული ინფორმაციიდან, რჩება შთაბეჭდილება, რომ საპროცესო შეთანხმებების გაფორმება პროკურატურისა და სასამართლოს მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია, რადგან ასეთ შემთხვევაში, პირები აღიარებენ წარდგენილ ბრალდებას და სასამართლოს, შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენები. საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, კანონიერია თუ არა მოთხოვნილი სასჯელი, არსებობს თუ არა საქმეში უტყუარი მტკიცებულებები ბრალის დასადასტურებლად და ა.შ. ამ სისხლის სამართლის საქმეებში კი, აღნიშნული მოთხოვნები დაცული არ არის.

ამჟამად, 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციების მონაწილეთაგან მხოლოდ ბეჟან ლორთქიფანიძე და ბესიკ თამლიანი არ აღიარებენ ბრალს და არც საპროცესო შეთანხმების დადებას აპირებენ, ვინაიდან თავს უდანაშაულოდ ცნობენ.

შერჩევითი სამართალი და საგარეო პოლიტიკური მოტივები

წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაპატიმრებებმა და 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული აქტივისტების საქმეებმა საქართველოში მიმდინარე მოვლენები საგულდაგულო დაკვირვების საგნად აქცია როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით და ამავე დროს, გამოიწვია შეშფოთება, რომ მიმდინარე სასამართლო პროცესები შესაძლოა, პოლიტიკურად მოტივირებული იყოს¹⁴.

ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნის არსებული სამართლებრივად ხარვეზიანი პრაქტიკა და 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეების შესწავლისას იდენტიფიცირებული პრობლემები, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფა, ასევე - ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, პოლიციელების მხრიდან გამოვლენილი კანონდარღვევების მიმართ უმოქმედობის შემთხვევები, აჩენს კითხვებს სახელმწიფოს მხრიდან შერჩევით მიდგომასა და კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის დევნის მიზანმიმართულად დაწყების თაობაზე, რაც მათი დასჯის სურვილსა და დაპატიმრებაში გამოიხატება.

გარდა გემოაღნიშნულისა, როგორც ადგილობრივ¹⁵, ისე საერთაშორისო დონეზე¹⁶ სხვადასხვა ორგანიზაციის თუ ინსტიტუციის წარმომადგენლები ღიად საუბრობენ, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის მიერ გაღებული სასამართლო სისტემის რეფორმირების და მისი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან განცალკევების მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, სისტემური ხარვეზები მაინც არსებობს, რაც ქმნის მოსამართლეებზე ხელისუფლების სხვა შტოებიდან მეწოლის პოტენციურ შესაძლებლობას და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე - საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შესახებ.

¹⁴ იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებაზე: <https://bit.ly/36BrWCi>; აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://bit.ly/3e0ZxbN>; იხ. ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/2AxeT9n>; იხ. ევროპარლამენტარების განცხადება: <https://bit.ly/3fmLQUN>.

¹⁵ მაგალითისთვის, იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: <https://bit.ly/30PDhNW>.

¹⁶ იხ. 1) ევროპარლამენტარების ერთობლივი განცხადება: <https://civil.ge/archives/341052>; 2) იხ. ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ვიცე-პრეზიდენტის, ზიგფრიდ მურემანის განცხადება: <https://bit.ly/2KsP7EA>; 3) ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარე - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://civil.ge/ka/archives/342004>.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რიგი შემთხვევები თანხვედრაშია საქართველოში მიმდინარე მწვავე და მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებთან, რაშიც ბრალდებულები/მსჯავრდებულები აქტიურად არიან ჩართულები, რის შემდეგაც არაერთი რეპრესიული ნაბიჯი გადაიდგა ხელისუფლების მხრიდან¹⁷. ეს კი, სახელმწიფოში მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობასა და მოქალაქეთა სამართლიანობის განცდაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს და სახელმწიფოს მხრიდან, „შერჩევითი სამართლის“ განხორციელებასა და პოლიტიკური მოტივით დაინტერესების საკითხებზე კითხვებს აჩენს.

რა თქმა უნდა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები მოითხოვს, სახელმწიფოს ყველა დანაშაულსა და დარღვევაზე ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება და მაღალი თანამდებობის პირების, დემონსტრანტების თუ პოლიციის მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების განურჩევლად, დაიწყოს შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, მაგრამ - ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ. ყოველი ამგვარი რეაგირება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების, კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, დასაბუთების მაღალი სტანდარტით და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობით უნდა განხორციელდეს.

უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება

მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირი მიჩნეულ იქნას უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება გონივრული ეჭვის მიღმა, ხელს უშლის პირისთვის დამნაშავის სტიგმის მინიჭებას და თავისუფლების წართმევის პოტენციურ შესაძლებლობას. უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემა გულისხმობს, რომ სახელმწიფო პირებმა და სხვა გავლენიანმა აქტორებმა სისხლის სამართლებრივი დევნის ნებისმიერ ეტაპზე თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რაც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო გამოძიების შედეგის შესახებ. ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორცაა UDHR¹⁸, ICCPR¹⁹ და ECHR²⁰ მოითხოვენ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ბრალი დაედო დანაშაულში „აქვს უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ არ იქნება იგი ცნობილი ბრალეულად კანონის თანახმად [...]“²¹.

საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესების პარალელურად, სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან, გავრცელდა ისეთი განცხადებებიც, რომლებშიც მიანიშნებდნენ ბრალდებული პირის სხვა შესაძლო დანაშაულში მონაწილეობაზე. ეს განცხადებები შეეხებოდა შორეულ წარსულში ჩადენილ მძიმე დანაშაულს, რაზეც საგამოძიებო უწყებათა მხრიდან სამართალწარმოება არასოდეს დაწყებულა. ამასთან, რამდენიმე საქმეზე, სასამართლო პროცესის პარალელურად, მედიაში, ხელისუფლების წარმომადგენლები უთითებდნენ ბრალდებულების სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ან საქმეებზე წარსულში ნასამართლობის შესახებ. მსგავსი განცხადებები, ცალკეულ პოლიტიკოსთა მხრიდან, შესაძლებელია, ბრალდებულის დაუსაბუთებლად დემონიზაციის მცდელობად და ამ გზით - მართლმსაჯულებაზე ზემოქმედებად შეფასდეს.

¹⁷ იხ. ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2019 წელი. გვ.48. ადამიანის უფლებათა ცენტრი: <https://bit.ly/33THjXo>.

¹⁸ იხ. Universal Declaration of Human Rights, მუხლი 11 (1). <https://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/index.html>.

¹⁹ იხ. International Covenant on Civil and Political Rights, მუხლი 14 (2). <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>

²⁰ იხ. European Convention on Human Rights, მუხლი 6(2). https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf

²¹ იხ. Universal Declaration of Human Rights, მუხლი 1(1). <https://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/index.html>.

გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებას²². გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის თანახმად, „სასამართლო განხილვის სამართლიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი სწრაფი განხორციელება“, რაც სასამართლო პროცედურების ყველა ეტაპს შეეხება ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება²³.

საანგარიშო პერიოდში, გამოვლინდა პრობლემები გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით. ზოგიერთი საქმე გადაიდო არაგონივრულად ხანგრძლივი დროით. ზოგ გადადებულ საქმეში ფიგურირებდნენ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები. საქმის განხილვის დაყოვნებას ან განხილვის გადადებას, ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ბრალდების მხარის მოქმედებისა თუ უმოქმედობის მიზეზით, ნაწილის სასამართლო განხილვის გადადება ხდებოდა დაცვის მხარის, გამონაკლის შემთხვევაში კი - სასამართლოს ინიციატივით, სხვადასხვა მიზეზზე მითითებით.

ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე სხდომები, პირიქით, მიმდინარეობდა დაჩქარებული წესით. მაგალითად, გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომები კვირაში რამდენჯერმე (3-4 დღე) იმართებოდა. *თუმცა, კვირაში სხდომების ჩანიშნისა და რაოდენობის საკითხი, შეთანხმებული იყო დაცვის მხარესთან.* ზოგიერთ საქმეზე საქმის განხილვის დაწყება და განაჩენის გამოცხადებაც ყოველდღობდა ხანგრძლივი პერიოდით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მაგალითად, გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში, კერძოდ, დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა²⁴.

გემოთ აღწერილი შემთხვევები პოტენციურ გემოქმედებას ახდენენ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, რადგან ერთმანეთზე მიყოლებული შეყოვნებები და პროცესის გადატანა ხელს უწყობს მის გაჭიანურებას.

მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება

სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებს აქვთ საჯაროდ გამოცხადებული²⁵ და მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება. ეს უფლება ეფუძნება სასამართლო პროცედურების საჯაროობას, რაც იცავს პირებს მართლმსაჯულების ფარულად და თვითნებურად განხორციელებისგან და ხელს უწყობს სასამართლოების მიმართ ნდობის შენარჩუნებას მხარეებისა და საზოგადოებისთვის გადაწყვეტილებების საფუძვლების შესახებ ინფორმაციით

²² იხ. ICCPR, მუხლი 9(3) და ECHR, მუხლი 5(3) უზრუნველყოფენ ყოველ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის „გონივრულ ვადაში გასამართლების ან გათავისუფლების“ უფლებას. ICCPR, მუხლი 14(3)(გ) უზრუნველყოფს „მედმეტი დაყოვნების გარეშე“ გასამართლების უფლებას ყველა იმ პირისთვის, ვინც სისხლის დანაშაულშია ბრალდებული და ასევე ECHR, მუხლი 6(1) უზრუნველყოფს ყოველი პირის „სამართლიანი საჯარო სასამართლო პროცესის უფლებას გონივრულ ვადაში“.

²³ იხ. ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 27 და 35.

<https://www.refworld.org/docid/478b2b2f2.html%20>.

²⁴ იხ. „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. გვ. 14. <https://bit.ly/2CkSOfd>.

²⁵ იხ. CCPR, მუხლი 14(1); ECHR, მუხლი 6(1); საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(1). იხ. აგრეთვე სატეტრი შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 22 თებერვალი, 1984, პარ. 33; ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ნოემბერი 1997, პარ. 52-60; პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 8 დეკემბერი 1983, პარ. 21-28.

უმრუნველყოფის გზით²⁶. მიუხედავად იმისა, რომ მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, აღნიშნულია, რომ „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“²⁷.

მონიტორინგის დროს შესწავლილ სასამართლოს განაჩენებთან, განჩინებებთან, სხვა სახის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გამოვლინდა სამი მთავარი პრობლემა: 1) მტკიცებულებათა არასაკმარისი ან არაადეკვატური შეფასება, 2) სამართლებრივი ანალიზისა და 3) სასჯელის შეფარდებისთვის გამოყენებული ფაქტორების შეფასების ნაკლებობა.

გარდა ამისა, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინებები, განაჩენები და სხვა გადაწყვეტილებები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია. ამასთან, 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული პირებიდან, თითქმის ყველა პირის მიმართ პირველი მოთხოვნისთანავე არ გაფორმებულა საპროცესო შეთანხმებ, იმ მოტივით, რომ დაუსაბუთებელი იყო შუამდგომლობა. თუმცა, ამის შემდეგ, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გასვლამდე, ისე, რომ ახალი გარემოებები არ გამოკვეთილა, სასამართლომ დაამტკიცა ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების პირობები, რის შედეგადაც სასამართლომ ყველას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და გაათავისუფლა ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდან.

ხშირ შემთხვევაში, ბრალდებულის განაჩენი ეფუძნება მხოლოდ გამოძიების ეტაპზე გაკეთებულ მონშეთა განცხადებებს. არაერთ გამამტყუნებელ განაჩენში ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულს აკავშირებს დანაშაულებრივ ქმედებასთან, არის ერთი ან რამდენიმე მონშის (ხშირ შემთხვევაში - პოლიციელი მონშის) ჩვენება²⁸. იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრის დადება ძირითადად ამ ჩვენების საფუძველზე მოხდა, სასამართლოს უნდა აეხსნა მის ფაქტობრივ მიგნებებში, თუ როგორ იქნა ეს მტკიცებულება სარწმუნოდ მიჩნეული ყოველგვარი გონივრულ ეჭვს მიღმა გარეშე. ამის ნაცვლად, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია მხოლოდ ჩვენების მოკლე შინაარსი, ხოლო მონშის სარწმუნობა და მისი ჩვენების თანმიმდევრულობა არ არის შეფასებული.

რიგ შემთხვევებში, სასამართლომ არ განიხილა თითოეული ბრალდება ინდივიდუალურ ბრალდებულებთან მიმართებით. მიუხედავად სასამართლოს მცდელობისა, აეხსნა, თუ რატომ იყვნენ ზოგი მონშეები „არადამაჯერებლები“ ან რატომ არ დადგინდა ზოგიერთი ბრალდება გონივრული ეჭვის მიღმა; სასამართლომ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნა მიზეზები, რის გამოც მონშეთა ჩვენება ჩაითვალა სარწმუნოდ, რელევანტურად და მტკიცებითი ღირებულების მქონედ. ამრიგად, ეს პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, „განაჩენში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე“²⁹. აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა არასაკმარისი და არაადეკვატური შეფასება, სამართლებრივი ანალიზის ნაკლებობა და სასჯელის შეფარდებისთვის საჭირო ფაქტორების შეფასების არარსებობა, დაკვირვების ქვეშ მყოფი საქმეების გადაწყვეტილებებში, ხელს უწყობდა მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლების ხელყოფას და აფერხებდა გასაჩივრების უფლების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

²⁶ იხ. რიაკიბ ბირიუკოვი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 7 ივლისი 2008, პარ. 30. <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-84452>.

²⁷ იხ. მუხლი სსსკ-ის 259(1) მუხლ.; გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში დასაბუთების მოთხოვნების შესახებ, იხ. მუხლ. 273 და 275 სსსკ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124>.

²⁸ მაგ., ირაკლი ოქრუაშვილის, ნიკანორ მელიას და 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სხვა პირების სისხლის სამართლის საქმეები. იხ. „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: <https://bit.ly/2XUIHFn>.

²⁹ იხ. მუხლი 273 სსსკ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124>.

საბოლოო ჯამში, როგორც მონიტორინგისა და კვლევის პროცესში გამოიკვეთა, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში, სასამართლო ზოგადი, ბუნდოვანი მსჯელობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების სისხლის სამართლის საქმეებში. ამგვარი მიდგომა არღვევს საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც, უშუალოდ წინამდებარე საქმეების შეფასებისას, ანალიტიკურ დოკუმენტებში იქნა განხილული.

II. დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომები

საკანონმდებლო მიმოხილვა

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტით, კორონავირუსის პანდემიისგან მომდინარე საფრთხეების გამო, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და შეიზღუდა მთელი რიგი სამოქალაქო უფლებები³⁰. ამასთან, დეკრეტით განისაზღვრა სასამართლო სხდომების, მათ შორის - სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა. შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში³¹, ასევე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციების პაკეტი³², რომელიც მიზნად ისახავს პანდემიის დროს მართლმსაჯულების უსაფრთხო განხორციელების ხელშეწყობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) 2020 წლის 10 ივნისს, შეიმუშავა დეკლარაცია „მართლმსაჯულების სისტემის გამოცდილებები და გამოწვევები პანდემიის დროს და მისი დასრულების შემდეგ“³³. კომისიის შეფასებით, პანდემიური კრიზისის არსებობა ვერ გაამართლებს სასამართლო სისტემების შეფერხებას ან სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. ამავდროულად, კრიზისის დასრულების შემდეგაც კი, სასამართლო სისტემები მომზადებული უნდა შეხვდნენ პანდემიის ახალ მოსალოდნელ ტალღებს.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრული დროებითი წესის ამოწურვის შემდეგ, სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობდა პროცესის დისტანციურად გამართვის საკანონმდებლო საფუძველი. სწორედ ამიტომ 2020 წლის 22 მაისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს საერთო სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, 2020 წლის 15 ივლისამდე სასამართლო სხდომები დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაეტარებინათ³⁴. აღნიშნულის შემდეგ, სასამართლო პროცესები ტარდება როგორც დისტანციურად, ისე უშუალოდ სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში, სასამართლოს სხდომის დარბაზებში.

³⁰ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, მუხ. 7.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>

³¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124>

³² იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N1 რეკომენდაცია: <https://bit.ly/2E0tII9>.

³³ იხ. The European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration of Lessons Learned and Challenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic. <https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2>.

³⁴ იხ. საქართველოს 2020 წლის 22 მაისის N5973-ს კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4876514?publication=0>.

დისტანციურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები

მონიტორინგის მიმდინარეობისას, სასამართლო სხდომების დისტანციურმა ხასიათმა ტექნიკური ხასიათის არაერთი განმეორებადი პრობლემა წარმოშვა. სასამართლო და პენიტენციური სისტემა მსგავსი გამოწვევისთვის მზად არ აღმოჩნდა. ტექნიკური პრობლემების გამო სხდომების დაწყება ზოგჯერ საათობით გვიანდებოდა, რაც არსებითად უშლიდა ხელს სასამართლო პროცესის ჩატარებას, რიგ შემთხვევებში კი პროცესების გადადების საფუძველიც ხდებოდა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაში 5-7 მონაწილეზე მეტის ჩართვის შემთხვევაში პროგრამა იტვირთება და ნელა მუშაობს³⁵.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა დისტანციურად მხარეებს შორის Webex პროგრამით კომუნიკაციის პრობლემა. თუ ერთდროულად ორი ან მეტი პირი საუბრობდა, ხმა აღარ ისმოდა და პროცესის მონაწილეებს, მათ შორის მოსამართლეებსაც, უწევდათ დასმული შეკითხვის გამეორება, რაც აჭიანურებდა და შეუძლებელს ხდიდა სხდომის გაგრძელებას. არაერთხელ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოს სხდომის მონაწილეების ხმა მეორდებოდა ან/და გაუგებრად ისმოდა.

სასამართლო სხდომის დაწყების შემდგომ, ასევე, არაერთი ტექნიკური ხარვეზი იჩენდა თავს. თითქმის ყველა დისტანციურად გამართულ სხდომას ახასიათებდა ტექნიკური ხასიათის პრობლემები, რომლებიც სხდომის სხვადასხვა მონაწილეებს პროცესში სრულყოფილად ჩართვაში მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს. ტექნიკური პრობლემები ასევე იწვევდა სხდომების დაწყების გაჭიანურებასა და გადადებას. სასამართლოს სხდომების გადადებას იწვევდა ისეთი პრობლემები, რომლებიც, როგორც წესი, სხდომის მიმდინარეობის ვიზუალურ და აუდიო პრობლემებს უკავშირდებოდა და სხდომის მთელი მიმდინარეობის დროს იჩენდა თავს³⁶.

დადებითად შეიძლება გამოირჩეს მოსამართლეთა ისეთი პრაქტიკა, როდესაც ეკითხებოდნენ მხარეებს, ესმოდათ თუ არა პროცესის სხვა მონაწილეთა ხმა და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებათა ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. დაწესებულებებში არ არის სპეციალური ოთახების საკმარისი რაოდენობა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა დისტანციური წესით გასამართ სხდომაზე ბრალდებულთა ჩართვის უზრუნველსაყოფად. ასევე, პრობლემურია დაწესებულებებში არსებული ინტერნეტ კავშირის ხარისხი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობის არასაკმარისი რაოდენობით ან საერთოდ არარსებობა, რის გამოც, აუცილებელია, სპეციალური ოთახიდან ჩართული მსჯავრდებულის ტექნიკური შეფერხებების აღმოსაფხვრელად გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები და დაუყოვნებლივ იქნას გადაჭრილი აღნიშნული პრობლემები.

მსგავს პრობლემებზე მიუთითებს სახალხო დამცველის ანგარიშიც³⁷, რომლის თანახმად, დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილშიც. სხდომებზე ბრალდებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არსებობდა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა. მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდოობას. ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც

³⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 04.05.2020.

³⁶ იხ. აგრეთვე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულება პანდემიის დროს“. 2020 წელი. <https://bit.ly/2DLrsQQ>.

³⁷ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020071409521056052.pdf>.

ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. რამდენიმე პროცესზე დაფიქსირდა თარგმნის ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზი.

სხდომებზე დაშვებასთან დაკავშირებული პრობლემები

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR), ამასთან, ეროვნული კანონმდებლობაც, ითვალისწინებს საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას³⁸. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს ამ უფლების მნიშვნელობას და აცხადებს, რომ „სასამართლო სხდომების საჯაროობა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ამდენად, იცავს პირისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს“³⁹.

სახალხო დამცველის შეფასებით, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ სასამართლოს სისტემაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა სხდომების განრიგის განთავსების, ასევე სასამართლო სხდომაზე მონიტორთა დაშვებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცალკეულმა მოსამართლეებმა პირდაპირი წინააღმდეგობა გამოხატეს სხდომაზე სახალხო დამცველის რწმუნებულთა დასწრებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ომბუდსმენის რწმუნებულებს დაუსაბუთებლად არ მიეცათ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა⁴⁰.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიმდინარეობისას, 2020 წლის 2 აპრილის სასამართლო სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ლაშა ჩხიკვაძემ ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი არ დაუშვა პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესზე. ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა⁴¹ და შემდგომში კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“⁴² გაავრცელეს განცხადებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე და მოუწოდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საერთო სასამართლოს თავმჯდომარეებს, სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე მოეხდინათ მყისიერი რეაგირება, რათა არ დარღვეულიყო სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი - საჯაროობის პრინციპი და სრულად არ შეზღუდულიყო პროცესების საჯაროობის უზრუნველყოფა. ამასთან, 2020 წლის 16 აპრილს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა იგივე საკითხზე წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს. უმაღლესი საბჭოს პასუხიდან ირკვევა, რომ სასამართლოების პრაქტიკა და საბჭოს მიდგომა ერთმანეთს არ ემთხვეოდა. კერძოდ, საბჭომ ადამიანის უფლებათა ცენტრს განუმარტა, რომ სასამართლო სისტემა მოკლებული იყო შესაძლებლობას, დისტანციურ პროცესებში ჩაერთო სასამართლო მონიტორები. ეს მაშინ, როდესაც, რიგ შემთხვევებში, სასამართლოს თანხმობით, მონიტორები ესწრებოდნენ

³⁸ იხ. UDHR, მუხლი.10 და 11(1); ICCPR, მუხლი 14(1); ECHR, მუხლი 6(1).

³⁹ იხ. „ზოგადი კომენტარი No.32, მუხლი 14: სასამართლოების წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება“, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, გაეროს დოკუმენტი U.N. Doc. CCPR/C/GC/32, 9 - 27 ივლისი 2007, პარ. 28. <https://www.refworld.org/docid/478b2b2f2.html%20>.

⁴⁰ იხ. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020071409521056052.pdf>.

⁴¹ იხ. განცხადება: ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების დახურვას აპროტესტებს. <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20118&lang=geo>.

⁴² იხ. განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე: http://coalition.ge/index.php?article_id=243&clang=0.

სასამართლო სხდომებს, დისტანციურად. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულყოფილად არ ფლობდა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას⁴³.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ როგორც დისტანციურად, ისე სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებაც, ხშირად, მხოლოდ მას შემდეგ იყო შესაძლებელი, რაც ოფიციალურად, განცხადებით მიმართავდა ორგანიზაციის სასამართლო მონიტორი საქმის განმხილველ მოსამართლეს და ითხოვდა პროცესზე დასწრებას. საბოლოოდ, დისტანციურ სხდომებზე მონიტორების დასწრებასთან დაკავშირებით უარის მიზეზად, ძირითადად, ასახელებდნენ, რომ მათი ჩართვა ტექნიკურ ხარვეზებს გამოიწვევდა.

ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა

ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება სამართლიანი სასამართლოს ბირთვის წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თუ ბრალდებული სხდომაზე დისტანციურად ერთვება, აუცილებელია, რომ იგი ტექნიკურად აღჭურვილი იყოს ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობით⁴⁴.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაში შეიმჩნეოდა გარკვეული შეფერხებები. ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ცალ-ცალკე ყოფნა, უარყოფით გავლენას ახდენდა მათ შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაზე. იყო შემთხვევა, როდესაც დისტანციურად მიმდინარე პროცესის დროს ადვოკატმა⁴⁵ გამოთქვა სასამართლო სხდომის გადადების სურვილი, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი კლიენტსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაცია⁴⁶.

უმეტესწილად, უშუალოდ სხდომის მიმდინარეობისას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ ბრალდებულისთვის მიცემული რჩევები პროცესის ყველა მონაწილეს ესმოდა. შესაბამისად, ბრალდებულებს პროცესის მსვლელობისას არ ჰქონდათ ადვოკატთან პოზიციის შეჯერების შესაძლებლობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეიძლება იქნას მიჩნეული.

მოწმეთა დაკითხვის პრობლემა

მოწმეთა ჩვენება ხშირად შეადგენს მთავარ მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმეში. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა, დაიბარონ და დაკითხონ თავისი და მოწინააღმდეგე მხარის მოწმეები. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ, რომ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, „თვითონ დაკითხოს ან დააკითხინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს მისი დაცვის მოწმეების

⁴³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 აპრილის, #323/1072-03-თ პასუხი ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის 16 აპრილის განცხადებაზე.

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Marcello Viola v. Italy, 45106/04, პარა. 63-67; აგრეთვე, Sakhnovskiy v. Russia [GC], 21272/03, პარა. 98. <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-101568>.

⁴⁵ მაგ., ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას.

⁴⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. ბოლოს ნაწილი: 04.05.2020.

ბრალდების მონმეების თანაბარ პირობებში⁴⁷. ეს უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ გარანტიას, რამდენადაც იგი აწონასწორებს პროკურორის პრეროგატივებსა და უფლებამოსილებებს. აღნიშნული უფლება უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობითაც.

დისტანციური სასამართლო სხდომების მონიტორინგის დროს, პრობლემას წარმოადგენდა დადგენა, იმყოფებოდნენ თუ არა მონმეები მართლ და იძლეოდნენ თუ არა ჩვენებებს გავლენისგან თავისუფლად. ამ პრობლემის შესახებ ყურადღება სახალხო დამცველმაც გაამახვილა⁴⁸.

მონმეთა დისტანციური დაკითხვის დროს, როგორც წესი, არ ჩანდა მათ წინ (მაგალითად, მაგიდაზე) მდებარე საგნები. პრობლემურია დისტანციურად ჩართული მონმის ვინაობის დადგენა. ჩვეულებრივ პროცესში დისტანციურად ჩართული მონმის ვინაობას ადასტურებს დარბაზში მყოფი მხარე. ამასთან, ერთი მონმე, რომელიც ჯერ არ არის დაკითხული, შეიძლება უსმენდეს მეორე მონმეს⁴⁹. ასევე, არ არსებობს მონმესთან ერთად სხვა პირის ყოფნისა და მონმისთვის ინფორმაციის კარნახის დადასტურების/გამორიცხვის შესაძლებლობა.

დასკვნა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა რიგი ხარვეზები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, გამოძიების ეტაპზე საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დუმილის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მონმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, დაკავების ეტაპზე ადვოკატის ყოლის უფლება და მონმეთა დაცვა, შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური მოტივები.

მონიტორინგის მიმდინარეობისას, იდენტიფიცირდა მრავალი პრობლემა პროცესებზე დასწრების ხელმისაწვდომობის კუთხით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ მუსტი ინფორმაციის მიწოდების პრობლემა, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებდა და აფერხებდა საზოგადოების პროცესებზე დასწრების შესაძლებლობას.

დაკვირვების ქვეშ მყოფი სასამართლო საქმეების უმეტესობაში ბრალდებულებს წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირები, რომელთა ირგვლივ გაკეთებული განცხადებები, სავარაუდოდ პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში და დასწრების სურვილიც ბევრს ჰქონდა, მაგრამ ეს პროცესები

⁴⁷ იხ. International Covenant on Civil and Political Rights, 14 (3) (g). <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>; ECHR, მუხლი 6 (3) (დ). https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf.

⁴⁸ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“. 2020 წელი. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020071409521056052.pdf>.

⁴⁹ ამ პრობლემის თაობაზე ყურადღებას, ასევე, ამახვილებს ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ ანგარიშში „ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი“: <https://article42.ge/ka/siakhleebi/article/82798>

მეტნაკლებად საკმარისი სივრცის სასამართლო დარბაზებში ტარდებოდა, რის გამოც მათი დასწრება შეუძლებელი იყო⁵⁰.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები. ბრალდებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არსებობდა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა. მოწმეთა დაკითხვის დროს, რიგ შემთხვევებში, სასამართლო ვერ ამოწმებდა მოწმეთა სანდოობას. ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო სხდომები იწყებოდა დაგვიანებით ან/და ხდებოდა მათი გადადება.

საბოლოო ჯამში, გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებულ საქმეებში, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ სრულყოფილად არ იყო უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი ხარვეზები შესაძლოა, აშკარად არ არღვევდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას თავისთავად, მაგრამ გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევების, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზებისა და ზოგადად პრობლემატური სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია, ამასთან - შერჩევითი სამართლისა და სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივების არსებობა, საფრთხეს უქმნიდა და უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულ დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების კანონმდებლობის შესაბამისად.

⁵⁰ მაგ., გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს სხდომებზე ვერ ხდებოდა ყველა დაინტერესებული პირისა და, მათ შორის, ხშირ შემთხვევაში, მედიისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მონიტორთა დასწრების უზრუნველყოფაც კი, ვინაიდან, აღნიშნულ საქმეზე არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.